*დანართი N1*
*დამტკიცებულია : შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი*
*კოლეჯი იმედის დირექტორის 2020 წლის 09 მარტის № 10 ბრძანებით.*

*შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი*
*კოლეჯი იმედის დირექტორის # 48 ბრძნებით შესულია ცვლილება 2020 წლის 17 სექტემბერს*

*შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი*
*კოლეჯი იმედის დირექტორის # 54 ბრძნებით შესულია ცვლილება 2022 წლის 23 სექტემბერს*

## *შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020 -2027[1] წ.წ.*

*შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი 2003 წელს დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კოლეჯი დაამთავრა ათასზე მეტმა სტუდენტმა, რომლებიც დღეს წარმატებული ადამიანები არიან.*

*კოლეჯი თავდაპირველად ფუნქციონირებდა როგორც ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულება. 2013 წელს საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი მიენიჭა. დღეს კოლეჯი წარმოადგენს ავტორიზებულ სასწავლებელს, რომელიც გასცემს სახელმწიფო დიპლომს. გამოცდილების ზრდასთან ერთად კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი ხდება.*

### *მისია:*

*თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია.*

### *ხედვა:*

*კოლეჯსა და ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური პარტნიორობით იყოს 2026-27 სასწავლო წლისთვის ერთ-ერთი წამყვანი მრავალპროფილიანი კოლეჯი. უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, სწავლის*

[1] გეგმის ვადა განისაზღვრება 2020 წლს სექტემბრიდან 2027 წლს 17 სექტემბრამდე

პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება.

**ღირებულებები:**

კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/ მსმენელზე/თანამშრომელზე ორინეტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება.

## 2. კოლეჯის მიზნები:

- ✓ განახორციელოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ✓ მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სათანადო თეორიული, პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტები;

**ამ მიზნების შესრულებისათვის კოლეჯი:**

- ✓ ზრუნავს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ადამიანური რესურსით;
- ✓ ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს;
- ✓ ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებას;
- ✓ ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

## 3. არსებული სიტუაცია და გამოწვევების ანალიზი (SWOT ანალიზი)

*ყველა მოქმედი პროგრამის განხორციელება ხდება მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის პროფესიული განათლების მასწავლებლების/ პრაქტიკის ინსტრუქტორების მიერ.*

*სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებული პროცესის უზრუნველსაყოფად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და დამსაქმებლების ჩათვლით ყველა ჩართულია მუდმივი განვითარების პროცესში.*

*კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა მისიისა და ხედვის განაცხადის განახლება-მოდერნიზება. ამასთან, ყოველწლიურად ხდება მიღწევების შეჯამება და გამოწვევების იდენტიფიცირება. დირექტორის ინიციატივით კოლეჯის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი.*

*ბოლო პერიოდის მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შევაფასოთ კოლეჯი როგორც დინამიურად განვითარებადი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებას გეგმავს თანამედროვე მოთხოვნებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, რისთვისაც ისწრაფვის დანერგოს მართვის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამოყენების მდგრადი და განვითარებადი პრაქტიკა.*

*კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაეფუძნა SWOT ანალიზს, რომელიც შესრულდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლის საფუძველზე. ჩატარებულმა SWOT ანალიზმა კოლეჯს საკუთარი შესაძლებლობების და რესურსების შეფასებისა და მათი ეფექტური გამოყენების გზების განსაზღვრის საშუალება მისცა, რომლის საფუძველზე 2020-2026 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილია კოლეჯისის პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.*

*სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა შედგენილია კოლეჯის საქმიანობის სუსტი მხარეების გაუმჯობესების დროში გაწერილი მიზანმიმართული ქმედებებით, ძლიერი მხარეებით განპირობებული შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით.*

## *3.1. SWOT ანალიზი*

| ძლიერი მხარე | სუსტი მხარე |
|---|---|
| ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრიორიტეტულობა;<br>✓ დამსაქმებლების ჩართულობა სასწავლო პროგრამების შემუშავების/დანერგვის და განხორციელების პროცესში;<br>✓ სტაბილური პარტნიორი ორგანიზაციები;<br>✓ კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;<br>✓ სამედიცინო და ფარმაცევტულ წესებულებებში დადებითი იმიჯი;<br>✓ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო გარემო.<br>✓ პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური კადრი;<br>✓ ხელსაყრელი მდებარეობა;<br>✓ 17 წლიანი გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში;<br>✓ პოზიტიური და კომფორტული სასწავლო და სამუშაო გარემო. | ✓ საკუთარი შენობის არქონა;<br>✓ მცირე ადმინისტრაციული პერსონალი.<br>✓ საერთაშორისო ურთიერთობები. |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| ✓ ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბება საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით;<br>✓ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება;<br>✓ ადამიანური რესურსების გაძლიერება;<br>✓ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;<br>✓ ექსტრაკულიკულური აქტივობებისა გაძლიერება | ✓ არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო;<br>✓ მზარდი კონკურენცია პროფესიულ განათლებაში.<br>✓ პროფესიულ სტუდენტთა სწავლისადმი დაბალი მოტივაცია<br>✓ რეალურ სამუშაო გარემოში/პრაქტიკაში დანერგილი არასტანდარტული მიდგომები, რაც თანხვედრაში არ მოდის მოდულში მითითებულ სტანდარტებთან |

| | |
|---|---|
| ✓ *უცხოური გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა;*<br>✓ *დაწესებულების ცნობადობის გაზრდის შესაძლებლობები;*<br>✓ *დაფინანსებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები.* | ✓ *პროფესიული სტუდენტების/მასწავლებლების პრიორიტეტი ონლაინ სწავლების მიმართ* |

*სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2027*

| **ამოცანა**<br>შენიშვნა: "ს" ნიშნით აღნიშნულია აქტივობები, რომლებიც განხორციელდება საჭიროებისამებრ. | | 2020 - 2021 | 2021-2022 | 2022 - 2023 | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | **ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული** | **პასუხისმგებელი პირ(ებ)ი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1. სტრატეგიული მიზანი - ორგანიზაციული განვითარება** | | | | | | | | |
| 1.1. | **სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება** | * | * | * | * | * | * | * | *დამტკიცებული შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა;*<br>*სამოქმედო გეგმის(ერთწლიანი) ანგარიში;*<br>*კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშ(ებ)ი;*<br>*დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);*<br>*სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;*<br>*მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;* | დირექტორი;<br>ხარისხის მართვის მენეჯერი;<br>კოლეჯის თანასაზოგადოება |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | *შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები; მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან* | |
| 1.2. | **ხარისხის უზრუნველყოფა(დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება)** | * | * | * | * | * | * | * | *სხვადასხვა კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;<br>აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კითხვარები; კვლევის შედეგები/ანალიზი;<br>საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა, განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები; ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;<br>შენარჩუნებული ავტორიზაცია* | დირექტორი;<br>ხარისხის მართვის მენეჯერი |
| 1.3. | ადამიანური რესურსების განვითარება | * | * | * | * | * | * | * | *ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა;<br>გეგმის შესაბამისი განმავითრებელი ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვა ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;* | დირექტორი;<br>საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | *პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;*<br>*შენარჩუნებულია არსებული პერსონალის მინიმუმ 90%;*<br>*განხორციელებულია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 90%* | |
| სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო პროგრამებისა განვითარება | | | | | | | | | | |
| 2.1. | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება,განახლება, განხორციელება | ს | ს | ს | ს | ს | ს | ს | *თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, დარგის სიახლეების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;*<br>*გამართული, მოთხოვნების შესაბამისი, დამტკიცებული რეგულაციები*<br>*გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობისათვის პარტნიორ ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია*<br>*საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსით, პრაქტიკის ობიექტებით*<br>*შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი* | დირექტორი;სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;პროგრამის ხელმძღვანელები ფინანსური მენეჯერი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2. | მოკლევადიანი მომზადება გადამზადების  პროგრამების შემუშავება,განახლება, განხორციელება | ს | ს | ს | ს | ს | ს | ს | *შრომის ბაზრის ანალიზი;შესაბამისობის დოკუმენტაცია შემუშავებული მომზადება/გადამზადების პროგრამები; მოთხოვნების შესაბამისი, დამტკიცებული რეგულაციები  გამოცდილების გაზიარებისა; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსით, პრაქტიკის ობიექტებით შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი* | |
| სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება | | | | | | | | | | |
| 3.1. | ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება | * | * | * | * | * | * | * | *ვებ-გვერდი ატარებს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფუნქციას, მუდმივად განახლებულია ინფორმაცია, ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია ყოველწლიურად განახლებულია კატალოგი  და ატვირთულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის შემუშავებულია თანამედროვე მიდგომების შესაბამისი, მოქნილი, გამჭვირვალე ელექტრონული სწავლების/შეფასების მექანიზმები უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა;შექმნილია სარეზერვო ასლები.* | დირექტორი;IT სპეციალისტი;სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | *საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი პროგრამებით* | |
| 3.2. | მატერიალური რესურსების განვითარება | ს | ს | ს | ს | ს | ს | ს | *საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებულია, მწყობრშია ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია;შესაბამისობის დასკვნები, ინვენტარიზაციის აქტი, შესაბამისობის და შემოწმების დასკვნები/ანგარიშები შენობის მდგრადობის დასკვნა; ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება* | დირექტორი;მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი<br>ფინანსური მენეჯერი |
| ამოცან ა 3.3. | საბიბლიოთეკო/საგანმანათლებლ ო რესურსების განვითარება | * | * | * | * | * | * | * | *საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; შექმნილია გეგმის მიხედვით მინიმუმ ორ წელიწადში ერთი საგანმანათლებლო რესურსი* | დირექტორი;ბიბლიოთეკარი ;პროგრამის ხელმძღვანელები;სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი |
| | | სტრატეგიული მიზანი 4: პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | | | | | | | | |
| . 4.1. | პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა | * | * | * | * | * | * | * | *პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღება კანონმდებლობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს; საინფორმაციო შეხვედრების/მარეგულრებელი დოკუმენტების გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.* | დირექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.2. | პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა | * | * | * | * | * | * | * | *წელიწადში მინიმუმ 2 აქტივობა; ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური გვერდი, სადაც მუდმივად ახლდება ინფორმაცია კარიერული განვითრების, დასაქმების შესახებ და სხვა.<br>მინიმუმ 1 ტრენინგ-კურსი წელიწადში; ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>მინიმუმ 2 შეხვედრა წელიწადში; შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია* | დირექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი;საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი |
| | | **სტრატეგიული მიზანი 5. უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა** | | | | | | | | |
| 5.1. | შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა | * | * | * | * | * | * | * | *შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა<br>შეფასებულია რისკები საჭიროების შემთხვევაში დასახულია გეგმა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან;<br>დაცულია სახანძრო და ელექტრო უსაფრთოების ნორმები, აღებულია შესაბამისობის დასკვნა* | დირექტორი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, კოლეჯის თანასაზოგადოება |
| 5.2. | ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ | * | * | * | * | * | * | * | *ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია* | შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, კოლეჯის თანასაზოგადოება |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | *ჰიგიენური ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია* | |
| | | **სტრატეგიული მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები** | | | | | | | | |
| 6.1. | საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთსასარგებლო კავშირების განვითარება | * | * | * | * | * | * | * | *შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>მონაწილეობა ერთობლივ ღონისიებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში<br>წელიწადში მინიმუმ ერთი ახალი პარტნიორი შესაბამისაი აქტოვობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია* | დირექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;კოლეჯის თანასაზოგადოება |
| 6.2. | კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრება | * | * | * | * | * | * | * | *კოლეჯში დგას მწვანე ყუთი მაკულატურის შესაგროვებლად<br>წელიწადში მინიმუმ 1 საქველმოქმედო/კორპორატიული ღონისძიება;ღონისძიების ჩატარების დამადასტრუებელი დოკუმენტაცია<br>წელიწადში მინიმუმ 1 ტრენინგი. ღონისძიება;ტრენინგის ჩატარების დამადასტრუებელი დოკუმენტაცია<br>სოციალურად დაუცველ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პროფესიულ სტუდენტთა დახმარება(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* | *დირექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი;ფინანსური მენეჯერი* |